ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა გაფართოებული

კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#2

24 ნოემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 14.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: მურად ბურჯანაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, თემურ მინაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9თვის შესრულების შედეგების მიმოხილვა

   მომხს. ლერი გუმბერიძე

   თანამომხსენებელი. გივი კობერიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ

   მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9თვის შესრულების შედეგების მიმოხილვა აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა უჩა გელხვიიძეს საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი როგორია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ 2020 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი შემცირდა 1 144.6 ათასი ლარით.

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა უჩა გელხვიიძეს არაფინანსური აქტივების კლებიდან 9თვის ჯამში რა თანხა არის შემოსული

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ არაფინანსური აქტივების კლებიდან 9თვის ჭრილში შემოსულია ჯამში 539.0 ათას ლარი, რაც წლიური გეგმის 89.5%-ია

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9თვის შესრულების შედეგების მიმოხილვა წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9თვის შესრულების შედეგების მიმოხილვა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 **წინააღმდეგი:0**

საკითხს თან ერთვის დანართი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 9თვის ბიუჯეტის შესრულების შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

კომისიის წევრი: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს ბაღების ხელფასები იმატებს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ განაცხადა, რომ ბაღებს ემატება 100ლარით დარიცხული თანხა იქნება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ განაცხადა, რომ შემოსულობა ნაკლებია ხარჯი მეტი გვაქვს და დაიგეგმა 480.000ლარით ბიუჯეტის დასაბალანსებლად საჭიროა რაიკავშირის შენობის გაყიდვა, რაც დანაკლის შეავსებს

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ვაჟა ჯუღელს საშტატო რაოდენობა მოიმატებს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის გაყნოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ საშტატო რაოდენობა მერიაში, საკრებულოში და ა.ა.ი.პ-ებში იგივე რჩება

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ წარმოდგენილი საკითხი აღნიშნული პროექტი კორექტირების მიზნით დაუბრუნდეს მერიას

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ წარმოდგენილი საკითხი აღნიშნული პროექტი კორექტირების მიზნით დაუბრუნდეს მერიას შემდეგი შენიშვნების გასათვალისწინებლად

შენიშვნები:

1. დაუსაბუთებელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გადასახადების 2020 წელთან შედარებით გაზრდა. (2019 წ.- 6253,4 ათ ლარი. 2020 წ. – 5374,5 ათ ლარი.) ასევე, დაუსაბუთებელია სხვა შემოსავლების 2021 წლის პროგნოზები.(2019 წ-751,4 ათ ლარი. 2020 წ. – 690,0 ათ ლარი.)
2. დაუსაბუთებელია არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები 480,0 ათ ლარის პროგნოზი.
3. პრიორიტეტის დოკუმეტით წარმოდგენილი პროგრამები, რომელიც არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორის მონაცემები ზოგადი ხასიათისაა. პრიორიტეტის დოკუმენტით მინიშნებული არ არის კონკრეტულად განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები.

4. დაუსაბუთებელია გაზრდილი საშტატო რიცხოვნობა გასულ საანგარიშო წელთან შედარებით.
5. გასათვალისწინებელია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის დასკვნითი დებულებებით გათვალისწინებული 36 მუხლის მოთხოვნები პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე.
6. დასაზუსტებელია სხვა საქონელი და მომსახურეობის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები. (კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე შეკეთების და სხვ.) ასევე, დასაზუსტებელია განმარტებითი ბარათით წარმოდგენილი მონაცემები საგადასახადო შემოსავლების გეგმების თაობაზე და მიუღებელია განმარტება, რომ „რთულია ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე მსჯელობა“

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 წინააღმდეგი:0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე